



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ამბიკონ სტილსი“

(ს/ნ 402114396)

30 დეკემბერი 2022

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1.ინფორმაცია კომპანიის შესახებ	12
2.მომზადების საფუძვლები	12
3.სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	13
4.საქმიანობის უწყვეტობა.....	20
5.ძირითადი საშუალებები	21
6.მარაგები.....	22
7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
8.ფული და ფულის ექვივალენტები	22
9.მოკლევადიანი სესხები.....	22
10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	23
11.შემოსავალი	23
12.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	23
13.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
14.დაკავშირებული მხარეები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტაქს ინფო“ (SARAS-F-822418)

KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. N12,
0193 თბილისი, საქართველო

TaxInfo LLC. (SARAS-F-822418)

King David – Business Center, M.Aleksidze Str. N12,
0193 Tbilisi, Georgia

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ამბიკონ სტილის“ (შემდეგში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (შემდეგში - ფინანსური ანგარიშგება), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 მარტისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების

შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2022 წლის წლიურ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული

აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლი ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

30 დეკემბერი 2022 წ.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლ ნოზაძე

 შპს „ტაქსიზონი“-ს სახელით
 თბილისი, საქართველო
 30 დეკემბერი 2022 წ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით


	<u>შენ.</u>	<u>31-03-22</u>	<u>31-03-21</u>	<u>31-03-20</u>
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	275,803	55,192	37,893
არამატერიალური აქტივები		4,848	4,848	4,848
		280,651	60,040	42,741
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	6	3,797,336	1,676,134	1,225,633
ფული და ფულის ექვივალენტები	8	339,420	258,532	402,298
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	82,863	142,272	105,733
		4,219,619	2,076,938	1,733,664
სულ აქტივები		4,500,270	2,136,978	1,776,405
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,382,093	2,382,093	2,382,093
გაუნაწილებელი მოგება		(2,101,879)	(2,364,834)	(2,243,432)
		280,214	17,259	138,661
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	3,072,575	1,198,533	1,309,294
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	1,147,481	921,186	328,450
		4,220,056	2,119,719	1,637,744
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,500,270	2,136,978	1,776,405

/ანკიტ სინგჰანია/
დირექტორი

/გურამი კობახიძე/
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით

	შენ.	31-03-22	31-03-21	31-03-20
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	275,803	55,192	37,893
არამატერიალური აქტივები		4,848	4,848	4,848
		280,651	60,040	42,741
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	6	3,797,336	1,676,134	1,225,633
ფული და ფულის ექვივალენტები	8	339,420	258,532	402,298
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	82,863	142,272	105,733
		4,219,619	2,076,938	1,733,664
სულ აქტივები		4,500,270	2,136,978	1,776,405
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,382,093	2,382,093	2,382,093
გაუნაწილებელი მოგება		(2,101,879)	(2,364,834)	(2,243,432)
		280,214	17,259	138,661
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	3,072,575	1,198,533	1,309,294
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	1,147,481	921,186	328,450
		4,220,056	2,119,719	1,637,744
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,500,270	2,136,978	1,776,405



/ანკიტ სინგანია/
დირექტორი





/გურამი კობახიძე/
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 მარტს დასრულებული წლისთვის


	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	11	38,196,700	26,347,068
რეალიზებული პროდუქციის თვითღ.	12	(33,655,874)	(23,959,638)
საერთო მოგება		4,540,826	2,387,430
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,715,972)	(747,570)
კომუნალური მომსახურების ხარჯები		(162,430)	(421,199)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები		(391,358)	(360,697)
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები		(295,890)	(305,198)
იჯარის ხარჯი		(245,061)	(229,712)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(32,196)	(8,609)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,435,013)	(303,679)
საოპერაციო მოგება		262,906	10,765
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი)		71,218	(76,297)
საპროცენტო ხარჯი		(86,529)	(58,338)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		15,360	2,468
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		262,955	(121,402)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		262,955	(121,402)

/ანკიტ სინგჰანია/
დირექტორი

/გურამი კობახიძე/
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 მარტს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	11	38,196,700	26,347,068
რეალიზებული პროდუქციის თვითღ.	12	(33,655,874)	(23,959,638)
საერთო მოგება		4,540,826	2,387,430
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,715,972)	(747,570)
კომუნალური მომსახურების ხარჯები		(162,430)	(421,199)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები		(391,358)	(360,697)
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები		(295,890)	(305,198)
იჯარის ხარჯი		(245,061)	(229,712)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(32,196)	(8,609)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,435,013)	(303,679)
საოპერაციო მოგება		262,906	10,765
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი)		71,218	(76,297)
საპროცენტო ხარჯი		(86,529)	(58,338)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		15,360	2,468
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		262,955	(121,402)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		262,955	(121,402)


/ანკეტ სინგულავა/
დირექტორი




/გიორგი კობახიძე/
მთავარი ბუღალტერი

12-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2020 წლის 31 მარტისთვის	2,382,093	(2,243,432)	138,661
ზრდა (+)	-	-	-
შემცირება (-)	-	(121,402)	(121,402)
2021 წლის 31 მარტისთვის	2,382,093	(2,364,834)	17,259
ზრდა (+)	-	262,955	262,955
შემცირება (-)	-	-	-
2022 წლის 31 მარტისთვის	2,382,093	(2,101,879)	280,214


/ანკიტ სინგჰანია/
დირექტორი

/გურამი კობახიძე/
მთავარი ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2020 წლის 31 მარტისთვის	2,382,093	(2,243,432)	138,661
ზრდა (+)	-	-	-
შემცირება (-)	-	(121,402)	(121,402)
2021 წლის 31 მარტისთვის	2,382,093	(2,364,834)	17,259
ზრდა (+)	-	262,955	262,955
შემცირება (-)	-	-	-
2022 წლის 31 მარტისთვის	2,382,093	(2,101,879)	280,214


/ანკიტ სინგჰანია/
დირექტორი




/გიორგი კობახიძე/
მთავარი ბუღალტერი

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების
ანგარიშგება

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით

	გაუნაწილებელი მოგება
2019 წლის 31 მარტისთვის	(2,243,432)
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	(121,402)
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	-
2021 წლის 31 მარტისთვის	(2,364,834)
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	262,955
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	-
2022 წლის 31 მარტისთვის	(2,101,879)


/ანკიტ სინგჰანია/
დირექტორი

/გურამი კობახიძე/
მთავარი ბუღალტერი

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების
ანგარიშგება

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით

	გაუნაწილებელი მოგება
2019 წლის 31 მარტისთვის	(2,243,432)
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	(121,402)
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	-
2021 წლის 31 მარტისთვის	(2,364,834)
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	262,955
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	-
2022 წლის 31 მარტისთვის	(2,101,879)


/ანკიტ სინგჰანია/
დირექტორი




/გიორგი კობახიძე/
მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით

	2022	2021
საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	22,044,313	15,364,218
სხვა მიღებული ფულადი სახსრები და ამონაგებები	2,616	2,330
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(11,980,833)	(7,449,696)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(4,000,892)	(3,741,942)
გადახდილი სხვა ფულადი სახსრები	(6,205,266)	(4,885,397)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(140,063)	(710,487)
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(101,925)	-
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	9,227
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები	(101,925)	9,227
საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით საწარმოდან გადახდილი ფულადი სახსრები	-	-
სესხების სახით საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები	314,920	555,026
სესხების სახით საწარმოდან გასული ფულადი თანხები	-	-
ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	-	-
პროცენტების სახით გაცემული ფულადი ნაკადები	-	-
პროცენტების სახით მიღებული ფულადი ნაკადები	7,956	2,468
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	322,876	557,494
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	80,888	(143,766)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	258,532	402,298
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	339,420	258,532

/ანკიტ სინგჰანია/
დირექტორი

/გურამი კობახიძე/
მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით

	2022	2021
საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	22,044,313	15,364,218
სხვა მიღებული ფულადი სახსრები და ამონაგებები	2,616	2,330
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(11,980,833)	(7,449,696)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(4,000,892)	(3,741,942)
გადახდილი სხვა ფულადი სახსრები	(6,205,266)	(4,885,397)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(140,063)	(710,487)
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(101,925)	-
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	9,227
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები	(101,925)	9,227
საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით საწარმოდან გადახდილი ფულადი სახსრები	-	-
სესხების სახით საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები	314,920	555,026
სესხების სახით საწარმოდან გასული ფულადი თანხები	-	-
ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	-	-
პროცენტების სახით გაცემული ფულადი ნაკადები	-	-
პროცენტების სახით მიღებული ფულადი ნაკადები	7,956	2,468
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	322,876	557,494
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	80,888	(143,766)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	258,532	402,298
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	339,420	258,532


/ანკიტ სინგჰანია/
დირექტორი




/გურამი კობახიძე/
მთავარი ბუღალტერი

12-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ამბიკონ სტილს“-ი (ს/ნ 402114396) (შემდგომში - კომპანია) არის 2019 წლის 10 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. ალექსიძის ქ., N12, სართ. 9, ბლოკი ბ.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართი საქართველო, ქუთაისი, შევჩენკოს ქ. N20.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს არმატურის წარმოება.

კომპანიის პარტნიორი	31.მარ.22	31.მარ.21	31.მარ.20
Ambicon Ventures Private Limited, U51506WB2018PTC228737 /ინდოეთი/	100.00%	100.00%	100.00%
სულ:	100.00%	100.00%	100.00%

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის დირექტორები იყვნენ ანკიტ სინგჰანია (L2071411) და სუშილ კუმარ ჩაუჩარია (K0484510) - ინდოეთის რეზიდენტი ფიზიკური პირები.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე 2022 წლის 31 მარტს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე ანგარიშგება მისი წარდგენის მომენტში არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორ(ებ)ის მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორ(ებ)ს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს 1 000 ლარზე მეტი ღირებულების მატერიალურ აქტივებს, რომლებიც:

- (ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

3.2 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.2.2. აღირების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღირების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები;
- დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღირების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

3.2 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- | | |
|----------------------------|---------------|
| • შენობა-ნაგებობები | 30 – 50 წელი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 – 10 წელი; |
| • მანქანა დანადგარები | 5 – 10 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 – 10 წელი; |
| • ძალოვანი დანადგარები | 5 - 10 წელი |

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.4. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუიშ ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

- (ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

- (ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;
- (ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და

3.3. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

- (გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.3.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

- (ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და
(ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.3.4. ამორტიზაცია

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.3.5. გაუფასურება

კომპანია არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;
ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

3.3. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.4.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს

3.4. მარაგები (გაგრძელება)

მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);
- ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

3.5.3. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

12-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

(გაგრძელება)

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- (ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

3.7. ამონაგები (გაგრძელება)

(დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს რომ კომპანიას უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა, რაც თავისმხრივ გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატებოდა მის მიმდინარე აქტივებს 437 ლარით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული თანაფარდობა არ გამოიწვევს შემდგომში კომპანიის ლიკვიდურობის შემცირებას და კომპანია უწყვეტად გააგრძელებს ეკონომიკურ საქმიანობის 2022 წლის შემდგომ პერიოდშიც.

5. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება					
ისტორიული ღირებულება 31.03.2020	8,302	12,268	22,988	-	43,557
ისტორიული ღირებულება 01.04.2020	8,302	12,268	22,988	-	43,557
შემოსვლა	-	-	43,242	1,593	44,835
გასვლა	-	-	(22,988)	-	(22,988)
გადაცემები	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.03.2021	8,302	12,268	43,242	1,593	65,405
ისტორიული ღირებულება 01.04.2021	8,302	12,268	43,242	1,593	65,405
შემოსვლა	622	200,549	41,650	12,115	254,936
გასვლა*	(622)	-	-	(1,508)	(2,130)
გადაცემები	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.03.2022	8,302	212,817	84,892	12,200	318,211
ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.03.2020	(933)	(670)	(4,061)	-	(5,665)
დაგროვილი ცვეთა 01.04.2020	(933)	(670)	(4,061)	-	(5,665)
ცვეთა	(1,418)	(2,232)	(4,728)	(231)	(8,609)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	4,061	-	4,061
დაგროვილი ცვეთა 31.03.2021	(2,351)	(2,903)	(4,728)	(231)	(10,213)
დაგროვილი ცვეთა 01.04.2021	(2,351)	(2,903)	(4,728)	(231)	(10,213)
ცვეთა	(1,145)	(15,006)	(14,113)	(1,932)	(32,196)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.03.2022	(3,497)	(17,908)	(18,840)	(2,163)	(42,408)
საბალანსო ღირებულება 31.03.2020	7,369	11,597	18,927	-	37,893
საბალანსო ღირებულება 31.03.2021	5,950	9,365	38,514	1,362	55,192
საბალანსო ღირებულება 31.03.2022	4,805	194,909	66,052	10,037	275,803

6. მარაგები

	31-03-22	31-03-21	31-03-20
ნედლეული და მასალები	1,745,565	844,350	629,175
მზა პროდუქცია	688,669	111,940	301,202
დაუმთავრებელი წარმოება	482,785	280,779	1,088
სხვა მარაგი	880,317	439,065	294,168
სულ მარაგები	3,797,336	1,676,134	1,225,633

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-03-22	31-03-21	31-03-20
მოთხოვნები მიწოდებიდან	70,942	74,474	56,428
გადახდილი ავანსები	11,921	67,465	47,902
სხვა მოთხოვნები	-	333	1,403
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	82,863	142,272	105,733

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-03-22	31-03-21	31-03-20
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში	337,056	232,538	379,186
ნაღდი ფული საღაროში	2,365	25,994	23,112
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	339,420	258,532	402,298

9. მიღებული სესხები

	31-03-22	31-03-21	31-03-20
მოკლევადიანი სესხები ბანკებიდან	-	-	-
მოკლევადიანი სესხები დაკავშ. პირებისგან	1,147,481	921,186	328,450
სულ სესხები	1,147,481	921,186	328,450

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-03-22	31-03-21	31-03-20
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	1,754,147	720,185	705,250
საგადასახადო ვალდებულებები	627,096	262,866	278,432
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	518,950	136,942	136,942
გადასახდელი პროცენტები	141,415	60,889	-
მიღებული ავანსები	30,728	16,204	188,587
სხვა ვალდებულებები	239	1,447	82
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,072,575	1,198,533	1,309,294

11. შემოსავალი

	2022	2021
შემოსავალი არმატურის რეალიზაციიდან	36,286,824	25,073,172
შემოსავალი ფერადი ლითონების რეალიზაციიდან	1,909,876	1,273,896
სულ შემოსავალი	38,196,700	26,347,068

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
მასალების ხარჯი	(22,752,720)	(15,894,432)
ელექტრო ენერგიის ხარჯი	(4,315,934)	(2,424,863)
შრომის ანაზღაურება	(3,872,730)	(3,783,481)
შექმნილი საქონელი და მომსახურების ხარჯი	(1,776,478)	(986,752)
ბუნებრივი აირის ხარჯი	(938,012)	(870,110)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღ.	(33,655,874)	(23,959,638)

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
რემონტის ხარჯი	(456,841)	(60,276)
ზოგადი დანახარჯი	(415,945)	-
საპენსიო ანარცხები	(56,309)	(46,150)
მომსახურების ხარჯი	(48,433)	(98,021)
ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯი	(19,230)	(16,520)
დაზღვევის ხარჯი	(17,497)	(10,857)
ბანკის ხარჯი	(13,477)	(11,019)
მივლინების ხარჯი	-	(13,234)
სხვა ხარჯი	(407,280)	(94,495)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,435,013)	(303,679)

12-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

14. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი, ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლოებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-03-22	31-03-21
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები	-	87,001
პარტნიორი	584,279	436,692
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	584,279	523,693

სასესხო ვალდებულებები	31-03-22	31-03-21
პარტნიორი	1,147,481	921,186
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	1,147,481	921,186

საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	2022	2021
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები	(322,188)	(329,200)
პარტნიორი	-	(31,497)
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	(322,188)	(360,697)

საპროცენტო ხარჯი	2022	2021
პარტნიორი	(86,529)	(58,338)
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	(86,529)	(58,338)

12-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

14. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები	(245)	(3,302)
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	(245)	(3,302)
დასაქმებულთა ანაზღაურება	2022	2021
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები	(112,610)	(88,641)
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	(112,610)	(88,641)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი)	2022	2021
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები	(211)	(1,029)
პარტნიორი	(45,596)	(54,140)
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	(45,807)	(55,168)

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა



ფაქტები კომპანიის შესახებ



კომპანიის დასახელება:	შპს „ამბიკონ სტილსი“
რეგისტრაციის თარიღი:	10/01/2019
საწარმოს იურიდ./ფაქტ. მისამართი:	თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. ალექსიძის ქ., N12, სართ. 9, ბლოკი 8 / ქუთაისი შევჩენკოს 20
დაქირავებულ პირთა საშუალო რაოდენობა:	312
დარგი:	მძიმე მეტალურგია
მთლიანი აქტივების ღირებულება:	4 500 270 ლარი
საწარმოს პარტნიორი (100%-იანი წილი):	Ambicon Ventures Private Limited,
საწარმოს დირექტორი:	ანკიტ სინგჰანია, სუმილ კუმარ ჩაუჩარია



საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არმატურის წარმოება. კომპანიას გააჩნია წარმოება ქუთაისი შევჩენკოს N20-ში.

კომპანიის მთლიანმა შემოსავალმა 01/04/2021 - 31/03/2022 საანგარიშო პერიოდში გადააჭარბა 38 მლნ ლარს.

კომპანიის მთლიანი აქტივები 31/03/2022-ის მდგომარეობით აჭარბებს 4 მლნ. ლარს, მ.შ. ძირითად საშუალებებში განხორციელებული ინვესტიციები აჭარბებს 0,200 მლნ. ლარს.

01/04/2021 - 31/03/2022 საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ გადააჭარმა 5,7 მლნ ლარს.



პროდუქციის ხარისხის კონტროლი

კომპანიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს თავისი მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება. პროდუქციის ხარისხზე ზრუნვა იწყება ნედლეულის მომწოდებლების შერჩევით: კომპანიის მიერ ხდება მხოლოდ მაღალი ხარისხის ჯართის შეძენა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კომპანიის შიდა სტანდარტით, ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. შეძენილი ჯართის ხარისხის კონტროლს კომპანია პერმანენტულად ახორციელებს.

განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს პროდუქციის წარმოება. წარმოების პროცესში დაცულია სამშენებლო მასალების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

წარმოების პროცესის დასრულების შემდეგ მზა პროდუქცია დამატებით გადის ხარისხის შემოწმებას კომპანიის შიდა ლაბორატორიაში და მხოლოდ, ლაბორატორიის დადებითი დასკვნის შემდეგ მიეწოდება მომხმარებელს.



სამუშაო გარემო

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ადამიანური რესურსების განყოფილებისათვის დასმულ მთავარ დავალებას წარმოადგენს კომპანიაში სამუშაო გარემოს მუდმივი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა. კომპანიაში დასაქმებულ პირთა უმრავლესობას წარმოადგენენ ქ. ქუთაისის მკვიდრნი.

კომპანიაში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობამ 01/04/2021 - 31/03/2022 საანგარიშო პერიოდში შეადგინა 312 პირი.

ადამიანური რესურსების განყოფილების მიერ მუდმივად ხდება მუშა-მოსამსახურეთა გადამზადება და შრომითი უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის მუდმივი მონიტორინგი. ადამიანური რესურსების განყოფილება კომპანიაში დასაქმებულ პირებს პერმანენტულად აწვდის ინფორმაციას საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მათი უფლებების შესახებ.



ეკოლოგიური პოლიტიკა

კომპანიის ეკოლოგიური პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ზოგადი პოლიტიკის ნაწილს, ერთმნიშვნელოვნად მიმართულია კომპანიის საქმიანობით გარემოზე ზემოქმედების შემცირებისაკენ. ეკოლოგიური პოლიტიკა, ასევე, მოიცავს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პოლიტიკას და აღნიშნული მიმართულებით მომავალში დამატებითი ღონისძიებების გატარება იგეგმება.

კომპანია დროულად ასრულებს ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კომპანიის ხელმძღვანელობა დამატებით ცდილობს ზუსტად დაიცვას გარემოსდაცვის კუთხით ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი დირექტივები და სტანდარტები.



მომავლის ხედვა

კომპანია მომავალში გეგმავს წარმოების გაზრდას, თავისი პროდუქციის წარმადობის გაუმჯობესებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კომპანიის შემოსავლებს, ასევე გააუმჯობესებს სოციალურ ფონს ქვეყანაში, ვინაიდან შპს „ამბიკონ სტილსი“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნაში, ქვეყნის ეკონომიკის და კეთილდღეობის განვითარებაში.

შპს „ამბიკონ სტილსი“-ს დირექტორი

ანკიტ სინგჰანია

30.12.2022



ეკოლოგიური პოლიტიკა

კომპანიის ეკოლოგიური პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ზოგადი პოლიტიკის ნაწილს, ერთმნიშვნელოვნად მიმართულია კომპანიის საქმიანობით გარემოზე ზემოქმედების შემცირებისაკენ. ეკოლოგიური პოლიტიკა, ასევე, მოიცავს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პოლიტიკას და აღნიშნული მიმართულებით მომავალში დამატებითი ღონისძიებების გატარება იგეგმება.

კომპანია დროულად ასრულებს ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კომპანიის ხელმძღვანელობა დამატებით ცდილობს ზუსტად დაიცვას გარემოსდაცვის კუთხით ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი დირექტივები და სტანდარტები.



მომავლის ხედვა

კომპანია მომავალში გეგმავს წარმოების გაზრდას, თავისი პროდუქციის წარმადობის გაუმჯობესებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კომპანიის შემოსავლებს, ასევე გააუმჯობესებს სოციალურ ფონს ქვეყანაში, ვინაიდან შპს „ამბიკონ სტილსი“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნაში, ქვეყნის ეკონომიკის და კეთილდღეობის განვითარებაში.

შპს „ამბიკონ სტილსი“-ს დირექტორი

ანკიტ სინგჰანია

30.12.2022

